პროექტი „თანამშრომლობა ადგილობრივი განვითარებისთვის“
საქართველოს სასოფლო დარბაზი

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ბურნათის მოსახლეობის მუნიციპალური სერვისებით კმაყოფილების ხარისხის კვლევა.

1. კვლევის ანალიზი

შესავალი

კვლევის მიზანი, მეთოდი და სტრუქტურა

საქართველოს სასოფლო დარბაზმა 2023 წლის მარტსა და აპრილში პროექტის - „თანამშრომლობა ადგილობრივ განვითარებისთვის“ ფარგლებში, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ბურნათში ჩაატარა კვლევა. კვლევის მიზანი იყო სოფლის მოსახლეობის კმაყოფილების ხარისხის განსაზღვრა ჩოხატაურის მუნიციპლიტეტის მიერ 2021, 2022 წლებში ამ სოფლებში გაწეული ინფრასტრუქტურული, სოციალურ-კულტურული, ახალგაზრდული და სოფლის მხარდაჭერის პროგრამებით გაწეული საქმიანობისა და სერვისების გარშემო, ე.წ. მოსახლეობის ანგარიშგების ბარათი.

კვლევა ჩატარდა გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP), დანიის საგარეო საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს მთავრობის მხარდაჭერით. კვლევაში გამოთქმული მოსაზრებები ავტორისეულია და შეიძლება არ ასახავდეს ზემოთ ჩამოთვლილი საერთაშორისო ორგანიზაციების მოსაზრებებს.

კვლევის პროცესში მოპოვებულ იქნა ინფორმაცია სოფლის მოსახლეობის მხრიდან რაოდენობრივი კვლევის მეთოდით,

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევა განხორციელდა ერთ ეტაპად და შეიცავდა რაოდენობრივ კომპონენტებს.

- **შერჩევის დიზაინი**

1.1. კვლევის სამიზნე ჯგუფები

კვლევა ჩატარდა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ბურნათის მოსახლეობაზე.

1.2. კვლევის გეოგრაფიული არეალი

სოფელი ბურნათი, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი.

1.3. შერჩევის ერთეულები - შერჩევის ერთეულია ოჯახი.

1.4. შერჩევის ჩარჩო

შერჩევის ჩარჩოდ გამოვიყენეთ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებ გვერდზე www.chokhatauri.org.ge არსებული ინფორმაცია სოფელ ბურნათის შესახებ.

გამოკითხული იქნა ყოველი მესამე ოჯახიდან თითო წევრი.

1.5. შერჩევის მეთოდი და შერჩევის ფორმირება

გამომდინარე პროექტის ბიუჯეტიდან, ტერიტორიულ ერთეულში შესაძლებელი იყო გამოგვეკითხა 70 რესპოდენტი, რაც შერჩევის სწორი მეთოდით კვლევის პირობებში 2,5% ცდომილებას იძლევა.

შერჩევის ცდომილება გამოთვლილი იქნა შემდეგი ფორმულით

$$e = \sqrt{\frac{z^2 pq(N-n)}{(N-1)n}}$$

სადაც, **e** – შერჩევის ცდომილებაა, **z** – სტატისტიკური კონსტანტა 95% სანდოობის დონისთვის და ტოლია 1.96-ს, **p =1-q** მოვლენის მოხდენის / არ მოხდენის ალბათობა, ჩვენს შემთხვევაში ავიღეთ 0.5 მნიშვნელობა, რადგან ამ დროს შერჩევის ცდომილება აღწევს თავის მაქსიმუმს, **N** – გენერალური ერთობლიობის მოცულობა, **n** – შერჩევის მოცულობა

მონაცემთა შემოწმება და კოდირება

შემოწმდა ინტერვიუერთა მიერ ანკეტის შევსების სისწორე, კონტროლის ჯგუფის წევრები დაუკავშირდნენ რესპონდენტებს. შემოწმდა ყველა ინტერვიუერის ნამუშევრის 10%. ხარვეზები არ იქნა აღმოჩენილი.

კითხვარების კოდირება და დამუშავება მოხდა შემდეგი პროცედურებით:

- კითხვარის შევსების სისწორის დადგენა.
- მიღებული კითხვარების რეგისტრაცია, მათთვის უნიკალური კოდის მინიჭება
- ღია კითხვების კოდირება.

მონაცემთა შეყვანა სტატისტიკურ პროგრამაში:

მონაცემები შევიყვანეთ სტატისტიკურ პროგრამაში SPSS. მონაცემები გაიწმინდა, შეყვანის ეტაპზე მოხდა უკიდურსი ან/და შეუსაბამო მონაცემების გადამოწმება ინტერვიუერებთან.

მონაცემთა სტატისტიკური ანალიზი:

მონაცემები დამუშავდა სტატისტიკის კანონების მიხედვით. ტექსტში ყველგან მოვიყვანეთ მხოლოდ სტატისტიკურად მნიშვნელოვნი მონაცემები.

მონაცემთა ანალიზისას გამოყენებული იქნა აღწერითი და ახსნითი სტატისტიკის მეთოდები:

1. სიხშირეების და პროცენტების გამოთვლა

2. კლასტერული ანალიზი

დემოგრაფიული მონაცემები:

კვლევის შედეგად გამოიკითხა 51,52% ქალი და 48,48% მამაკაცი.



გამოკითხულთა ასაკი შემდეგნაირად გადანაწილდა: 18-30 წლის - 13.64%, 31-45 წლის 24,24%, 46-65 წლის 28,79%, და 65 წელს ზევით 33.33%.



რესპოდენტების 6,1% საბაზო და 50% საჯარო განათლებითაა, 28,8% ტექნიკური განათლებით, 13,6% უმაღლესი განათლებით, სტუდენტია - 1,5%.



➔ ტექნიკა და ინსტრუმენტი

კვლევაში გამოვიყენეთ პირისპირ ინტერვიუირების მეთოდი. ინტერვიუ ჩატარდა სპეციალური სტრუქტურირებული კითხვარის მეშვეობით.

ანგარიშის სტრუქტურა

ანგარიში შედგება ოთხი ძირითადი ნაწილისაგან. შესავალ ნაწილში განხილულია კვლევის მიზნები და მეთოდი. შედეგების აღწერა წარმოდგენილია მეორე ნაწილში ოთხი ბლოკის მიხედვით. ესენია: თემი, ოჯახი, დასაქმება და ადგილობრივი ხელისუფლება. მეოთხე ნაწილში მოყვანილია კვლევის დასკვნები, ძირითადი შედეგები და რეკომენდაციები.

შედეგების აღწერა

2. ბლოკი: თემი

პირველი კითხვა, რაც რესპოდენტებს დაესვათ, რამდენად კარგი ადგილია ბურნათი საცხოვრებლად, რაზედაც 89,23% დადებითად უპასუხა, შესაბამისად 10,77%-მა უარყოფითად.



უახლოესი სამი წლის განმავლობაში რესპოდენტთა 89,4% არ გეგმავს სხვაგან გადასვლას საცხოვრებლად, 3,0% თვლის, რომ იცხოვრებს საქართველოში, 4,5% - უცხოეთში და 3%-ს ჯერ არ გადაუწყვეტია.



შემდეგი კითხვები ეხებოდა ბურნათში არსებული ობიექტების ინფრასტრუქტურის მდგომარეობას.

ბაგა-ბაღის დაწესებულება და შესაბამისად ინფრასტურქტურა სოფელ ბურნათს არ აქვს და შეფასებაც არ მომხდარა. სოფელში არ არის არც სკოლა და ამიტომ სკოლის ინფრასტრუქტურის შეფასებაც არ მომხდარა. ბურნათში არ არის არც კლუბი / ბიბლიოთეკა.

სოფელში გზის ინფრასტრუქტურა შემდეგნაირად შეფასდა: 84,8% შემთხვევაში ძალიან კარგად, ასევე 7,6% შემთხვევაში კარგად.

ბურნათში წყლის სისტემის ინფრსატრუქტურას 68,2% - ძალიან კარგად. ძალიან ცუდად აფასებს წყლის სისტემას 27,3% და სხვა შეფასება აქვს ჯამში 4,5%. ფაქტია, რომ სოფლის ნაწილში ძალიან ცუდი გზაა.

გამოკითხულთა 95,4%-ს მიაჩნია, რომ ელექტრო ენერგია ძალიან კარგად მიეწოდება.



შეკითხვაზე, გაიარა თუ არა მუნიციპალიტეტის რომელიმე წარმომადგენელმა რაიმე სახით რაიმე კონსულტაცია პირადად რესპოდენტთან 2023 წლის პროგრამების ფორმირებისას, პასუხები ასე გადანაწილდა: კი- 89,39%, არა - 10,61%.



ძირითადად კარგია ან ძალიან კარგი , სოფლის დახმარების პროგრამით 2022 წელს სოფელ ბურნათში განხორციელებული პროექტებით რესპოდენტთა კმაყოფილების ხარისხი. შეფასება ასე გადანაწილდა: 60,6% თვლის, რომ ხარისხი ძალიან კარგია, კარგია - 30,3%, საშუალოდ აფასებს 1,5%, ცუდად ასევ 1,5% და ძალიან ცუდად 6,1%.



რაც შეეხება 2022 წელს განხორციელებულ მუნიციპალურ და მიზნობრივ ინფრასტრუქტურულ პროექტებს, 55,4%- მიიჩნევს ძალიან კარგად, კარგად 35,4%. სხვა შეფასება მცირეა და ჯამურად შეადგენს 9,2%-ს.



ძალიან დაბალი კმაყოფილება აღინიშნა 2022 წელს განხორციელებული სპორტისა და კულტურის ღონისძიებების შეფასების დროს. ბურნათში ამ მიმართულებით თითქმის არაფერი განხორციელებულა (ძალიან ცუდი 93,7%).



შემდეგი შეკითხვა ეხებოდა განხორციელებული პროექტების (ძირითადად სოფლის პროგრამითა და ინფრასტრუქტურული სახის) შესრულების პროცესის გამჭვირვალეობას. კითხვაზე იყო თუ არა ხელმისაწვდომი ინფორმაცია პროექტის შესახებ მისი განხორციელების ადგილზე, რესპოდენტების 89,39% თვლის, რომ „იყო“, 10.61% თვლის, რომ „არა“.



რესპოდენტთა 42,9% საზოგადოებრივი ტრანსპორტის ხელმისაწვდომობას უწერს შეფასებას „ძალიან კარგი“, 4,8% - „კარგი“, 11,1% - „საშუალო“, 14,3% - „ცუდი“ და 27% - „ძალიან ცუდი“.



თემის ინტერესებიდან გამომდინარე რესპოდენტების 92,42% მზადაა მონაწილეობა მიიღოს სოფელში განხორციელებულ საქმიანობაში.



იმათგან, ვინც თვლის რომ, მიიღებს მონაწილეობას სათემო საქმინობაში, 52,46% ქალია და 47,54% მამაკაცი. გამომდინარე გამოკითხული ქალებისა და მამკაცების თანაფარდობიდან, მონაწილეობის სურვილი თანაბარია.



საზოგადოებრივ საქმიანობაში მონაწილეობაზე უარს ამბობენ ძირითადად პენსიონერები.

3. ბლოკი - ოჯახი

პირველი შეკითხვა, რაც ოჯახს ეხებოდა იყო მისი ეკონომიკური პირობების შეფასება. რესპოდენტების უმრავლესობა, 77,3%-თვლის, რომ მათი ოჯახის ეკონომიკური პირობები საშუალოა, 15,1% მიაჩნია მძიმედ და ძალიან მძიმედ. საშუალოზე უკეთ აფასებს საკუთარ ეკონომიკურ მდგომარეობას გამოკითხულთა 7,6%.



ის, რესპოდენტები, რომლებმაც საკუთარი ოჯახის მდგომარეობა მძიმედ ან ძალიან მძიმედ შეაფასეს, სიღარიბის ძირითად მიზეზად 34,5% შემთხვევში თვლიან დაბალ შემოსავლებს, 45,5% შემთხვევაში უმუშევრობას, ოჯახის წევრის ავადმყოფობით ასრებულ ხარჯებს -5,5% და ასევე 5,5%. შემთხვევაში ცუდ საცხოვრებელ პირობებს. 9,1% შემთხვევაში კვალიფიკაციის არქონას.



რესპოდენტთა ეკონომიკური პირობები 2022 წელს 2021 წელთან შედარებით გაუმჯობესდა 13,8% შემთხვევაში, გაუარესდა 7,7% შემთხვევაში, არ შეცვლილა 78,5% შემთხვევაში.



4. ბლოკი - ჯანმრთელობა

რესოდენტთა 16,7%-ს 2022 წელს წამალი არ დაჭირვებია, უჭირდა წამლის შეძენა - 39,4%-ს, არ უჭირდა 43,9%-ს.



40,32%-ს არ ქონდა შესაძლებლობა ესარგებლა საავადმყოფოთი, 33,87%-ს ქონდა ეს შესაძლებლობა, ხოლო 25,81%-ს არ ჭირდებოდა.



5. . ბლოკი - დასაქმება

გამოკითხულთა 45,45% თვლის, რომ იგი დასაქმებულია რაღაც სახით და შესაბამისად უმრავლესობა, 54,55% თვლის, რომ -არა.



დასაქმებულთაგან 46,67% ქალია და 53,33% მამკაცი.



კერძო ან სახელმწიფო სექტორშია დასაქმებულთაგან ქალები 42,9% და მამაკაცები 57,1%-ია. თვითდასაქმებულთაგან 62,5% ქალია და 37,5% მამაკაცი და დროებით დასაქმებულები ქალები 50%-ია და მამაკაცები 50%.



გამოკითხულების 76,6% მიიჩნევს, რომ ბურნათში დასაქმების არანაირი შანსი არ არსებობს. 18,8% თვლის რომ შანსი მცირეა და 4,7%%-მა სხვა პასუხი გასცა.



გამოკითხულთა 31,3%-ს მიაჩნია, რომ მისი ოჯახის შემოსავლების ზრდისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია პენსიის ზრდა, არ იცის 21,9%-მა, სოციალური დახმარების ზრდა - 20,3%, პროფესიული გადამზადება - 17,2%.



6. ბლოკი - ადგილობრივი ხელისუფლება

რესპოდენტების 78,5% თვლის, რომ ადგილობრივი ხელისუფლება ატარებს საჯარო შეხვედრებს, და 10,8%-ის აზრით არ ატარებს შეხვედრებს. 6,2%-ის აზრით ხვდება უბნების მოსახლეობას და მხოლოდ 4,6% მიიჩნევს, რომ აქვს პირადი ურთიერთობა ოჯახებთან.



იმათგან, ვინც თვლის, რომ ხელისუფლება ატარებს შეხვედრებს, 87,5%-ს მიაჩნია, რომ შეხვედრები ტარდება წელიწადში რანდენჯერმე, სხვა პასუხი აქვს მხოლოდ 12,5%-ს.



რესპოდენტთა 51,56%-ს ქონდა საქმიანი ურთიერთობა თემის მაჟორიტარ დეპუტატთან.



ვინც მიმართა თხოვნით დეპუტატს პრობლემების მოსაგვარებლად, მათგან 97% მიიჩნევს, რომ დაეხმარა და მხოლოდ 3% თვლის, რომ არ დაეხმარა.



რაც შეეხება მერის წარმომადგენელთან დამოკიდებულებას, მხოლოდ 60,94%-ს ქონდა საქმიანი ურთიერთობა მასთან.



რესპოდენტების 100%-ის აზრით, რომლებმაც მიმართეს მერის წარმომადგენელს, პრობლემების მოსაგვარებლად, მათ მოუგვარდათ ეს პრობლემები.



7. დასკვნები

- მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა, საკუთარ სოფელს კარგ საცხოვრებელ ადგილად მიიჩნევს, რაც იმითაც გამოიხატება, რომ ათიდან მხოლოდ ერთი მცხოვრები სხვაგან გადასვლას გეგმავს.
- სკოლა, საბავშვო ბაღი, კლუბი და ბიბლიოთეკა სოფელში არ არის.
- ბურნათში მუნიციპალური ცენტრიდან მიმავალი გზა კარგია, შიდასასოფლო გზები უბნებში სხვადასხვა ხარისხისაა და ძირითადად კარგ შეფასებას იმსახურებს, ან საშუალო ხარისხისაა.
- თემში წყალგაყვანილობა მოწესრიგებულია და საშუალოზე უკეთესია.
- ელექტროენერგიით მომსახურების ხარისხზე მოსახლეობას ძირითადად პრეტენზია არ აქვს, თუმცა ცალკეულ უბანში საჭიროა ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება.
- ფაქტია, რომ მუნიციპალიტეტი ატარებს კონსულტაციებს მოსახლეობასთან სოფლის დახმარების პროგრამის ფარგლებში, რაც აისახა კიდეც კვლევის შედეგად, თუმცა ამის შესახებ ყოველმა მეოთხემ მოსახლემ არ იცის.
- სოფლის დახმარების პროგრამით გაწეული სერვისებით მოსახლეობა კმაყოფილია.
- მოსახლეობა ასევე არ არის უკმაყოფილო ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების ხარისხით.
- სოფლში კულტურისა და სპორტის არანაირი ღონისძიება არ ტარდება.
- მუნიციპალური ინფრასტრუქტურული პროექტებისა და სოფლის პროგრამების განხორციელების მოედნებზე ინფორმაცია პროექტების შესახებ გამოკრული იყო, თუმცა ამის შესახებ არ იცის ყოვემა მესამე მცხოვრებმა.
- საზოგადოებრივი ტრანსპორტი ბურნათს ემსახურება და არის ხელმისაწვდომი, თუმცა არაკომფორტულია ამ ტრანსპორტის ხელმისაწვდომობა ან ხარისხი ყოფელი მეოთხე მოსახლისთვის. შესაძლებელია განსხვავება უბნების მიხედვით იყოს.
- მოსახლეობის უდიდესი ნაწილი მზადაა თავისი წვლილი შეიტანოს სოფლის გაძლიერებაში. თემი მობილიზებადია. ამასთან მონაწილეობის თანაბარ მზადყოფნას გამოთქვამენ ქალები და მამაკაცები.
- ოჯახების უდიდესი ნაწილი საშუალო მაცხოვრებლად მიიჩნევს თავს.

- მძიმე ან ძალიან მძიმე პირობებში მცხოვრები 15-დან 2 ცხოვრობს, რაც ძირითადად გამოწვეულია ძირითადად დაბალი შემოსავლებით და უმუშევრობით.
- ოჯახების ეკონომიკური მდგომარეობა ძირითადად არ იცვლება.
- უმრავლესობას არ აქვს წამლების შეძენის პრობლემა ან არ სჭირდება, თუმცა ეს პრობლემა აქვს საშუალოდ ათიდან ოთხ ოჯახს. საავადმყოფოთი სადგებლობის შესაძლებლობა არ ქონდა წინა წელს ასევე ათიდან ოთხ ოჯახს.
- მაცხოვრებელთა მხოლოდ ოციდან ცხრა პირია დასაქმებული, ამასთან მეტი მამაკაცი, ვიდრე ქალი.
- დასაქმებულთაგან საკუთარი საქმით დაკავებული ძალიან ცოტაა და ორჯერ მეტი მამაკაცია, ასევე დაქირავებულია საჯარო ან კერძო სექტორში მეტი მამაკაცი.
- მოსახლეობის უმეტესობისთვის შემოსავლების გასაზრდელად მნიშვნელოვანია პენსიის ზრდა და სოციალური დახმარების ზრდა, თუმცა ყოველმა მეოთხემ არ იცის რა უნდა მოიმოქმედოს კეთილდღეობის გასაუმჯობესებლად. ასევე ათიდან ოთხის სურვილია პროფესიული უნარების გაუმჯობესება.
- მოსახლეობა ძირიტადად თვლის, რომ ბურნათში დასაქმების არანაირი პოტენციალი არ არსებობს.
- ადგილობრივი ხელისუფლება მოსახლეობას ხვდება და მათთან ერთად იხილავს სხვადასხვა საკითხებს, ძირითადად კრებებზე, თუმცა ყოველმა მეათემ ამის შესახებ არ იცის.
- მოსახლეობის ნახევარს აქვს საქმიანი ურთიერთობა საკრებულოს მაჟორიტარ წევრთან და უფრო მეტს მერის წარმომადგენლებტან. ვისაც ქონდა საკუთარ პრობლემებთან დაკავშირებით ურთიერთობა საკრებულოს მაჟორიტარ წევრთან ან მეწის წარმომადგენელთან, მათ მიიღეს დახმარება, რაც თანამდებობის პირების აქტიური ზალუსხმევით განხორციელდა.
- მიუხედავად იმისა, რომ სოფელში ოფიციალურად არსებობს დასახლების საერთო კრება, როგორც მონაწილეობის კანონით აღიარებული მექანიზმი, საკუთრივ მერიის ინიციატივით იგი არ გამართულა.

8. რეკომენდაციები:

- მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტის მხრიდან განხორციელდეს სოფლის სპორტული და და კულტურული ღონისძიებების გააქტიურება და მოსახლეობის ჩართვის უზრუნველყოფა.
- მუნიციპალიტეტმა სკოლამდელი ასაკის ბავშვებისთვის სასურველია ბურნათში გახსნას ალტერნატიული საბავშვო ბაღ, რაც არაა დაკავშირებული დიდ საბიუჯეტო ხარჯებთან (ერთი აღმზრდელი, ნახევარი სამუშაო დღე კვების გარეშე, კერძო ტერიტორიაზე განთავსება) და მიღებული პრაქტიკაა საქართველოს რიგ მუნიციპალიტეტებში.
- გამომდინარე იქიდან, რომ მოსახლეობა მობილიზებადია, მზადაა სოფლის სასიკეთო საქმიანობაში მონაწილეობის მისაღებად, ადგილობრივმა ხელისუფლებამ უნდა გამოიყენოს ეს რესურსი.
- სოფელში განხორციელებული ინფრასტრუქტურული და სოფლის მხარდამჭერი პროგრამების რეალიზებისას მეტად უნდა დასაქმდეს ადგილობრივი მუშა ხელი, რაც მცირედით მაინც შეამცირებს უმუშევრობის პროცენტს, გაზრდის შემოსავალს.

- მუნიციპალიტეტმა უნდა გაარკვიოს ბურნათის მოსახლეობის ნაწილის პრეტენზიების მიზეზი საზოგადოებრივი ტრანსპორტის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით.
- ბურნათში ჩატარებული ნებისმიერი მუნიციპალური ან / და სახელმწიფო პროგრამის/პროექტის შესახებ მუნიციპალიტეტმა მეტი ინფორმაცია უნდა გაავრცელოს მოსახლეობაში, რომ ხალხმა უკეთესად იცოდეს პროექტის / პროგრამის მიზანი, ამოცანები და ხარჯები.
- კულტურისა და სპორტის ღონისძიებების დაგეგმვისას უნდა გათვალისწინებული იქნას მათ შორის ბურნათის ჩართულობაც.
- მუნიციპალიტეტმა უნდა შეიმუშავოს მოსახლეობის, განსაკუთრებით ქალთა პროფესიული გადამზადების პროგრამა, რას ხელს შეუწყობს დასაქმების მაჩვენებლის გაზრდას.
- მნიშვნელოვანია მუნიციპალიტმა შეიმუშაოს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის წამლების და საავადმყოფოთი მომსახურების თანადაფინანსების პროგრამა, ან ასეთის არსებობის შემთხვევაში გაზარდოს ბენეფიციართა რაოდენობა.
- მოსახლეობასთან შეხვედრების შესახებ მუნიციპალიტეტის მხრიდან წინასწარ მეტი ინფორმირებაა საჭირო.
- მნიშვნელოვანია სოფელში წელიწადში ორჯერ მაინც, მერის ინიციატივით მოწვეული იქნას დასახლების საერთო კრება ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობის და ანგარიშვალდებულების გასაზრდელად.